მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი

დემონტაჟისა და მშენებლობის ორგანიზების პროექტი

მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო და კომერციული)

შემსრულებელი ორგანიზაცია	შპს სტუდიო ალფა სახლი ს.კ. 404664573
პრ. ავტორი :	მ. პაპუკაშვილი



საკადასტრო მონაცემები :	ს.კ. 01.11.04.026.046
ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი, თ. შემელიძის ქუჩა №18
ფუნქციური დანიშნულება	მრავალფუნქციური კომპლექსი

ქ. თბილისი

2025 წ.

ობიექტის მისამართი : ქ. თბილისი, ქუჩა შეშელიძე, №18

ს.კ. 01.11.04.026.046

დემონტაჟის ორგანიზების პროექტი

შემსრულებელი ორგანიზაცია

შპს სტუდიო ალფა სახლი ს.კ. 404664573

ქ. თბილისი 2025 წ.



FORD CARGO 3430 D.
KAMAZ 6520
KAMAZ 5551



ექსკავატორ - დამტვირთველი
CATERPILLAR 323 D
ტვირთამწეობა 32 ტ.

ხის დამცავი ღობე



სამანქანო ტექნიკის და ხის დამცავი ღობის სპეციფიკაცია

1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს „ს.ნ. და წ“ მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, განსაკუთრებით უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით „ს.ნ. და წ. -III-4.80“-სა.
2. მ.ო.პ.-ში მითითებული სამანქანო ტექნიკა შეიძლება შეიცვალოს სხვა მექანიზმით.

ᲬᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ	ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ	ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ				A - 3	
მრავალწუნქციური კომპლექსი	ს.კ. 01.11.04.026.046 ქ. თბილისი, თ. შეშელიძის ქუჩა №18	**შპს სტუდიო ალფა სახლი** ს.კ. 404664573	მ.პაპუკაშვილი არქიტექტორი მ.პაპუკაშვილი		დემონტაჟის პროექტი	მასშტაბი	
						თარიღი	05/20/2025
						წერტ.	147

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად უდევს საკადასტრო რუკა და ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, აგრეთვე ტერიტორიის დეტალური დათვალიერება და შესწავლა. შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის თანახმად განკარგულება # 380, 06/08/2021 წ. ხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე ს.კ. 01.11.04.026.046 არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს : 436.4 კვ.მეტრს.
სადემონტაჟო სამუშაოები წარიმართება ექსკავაციით. დასაშლელი სამშენებლო მასალების და ნაგვის დასატვირთად გამოყენებული იქნება თვითმცლელი ავტოტრანსპორტი. შესაძლებლობის შესაბამისად დარჩენილი ნარჩენები დაიტვირთება ხელით.

ადგილი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და სეისმური ფაქტორებით :
ქარის დაწოლა : 54-55კგ/კვ.მ.
თოვლის საფარის ზონა : 80 კგ/ კვ.მ.
სეისმურობა : 8 ბალი.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დაიწყება ექსკავატორ დამტვირთველის საშუალებით. დაშლილი სამშენებლო მასალების და ნაგვის გატანა გათვალისწინებულია თვითმცლელი ავტოტრანსპორტით. ვინაიდან სადემონტაჟო ნაგებობებს გასული აქვს ექსპლუატაციის ვადა, და გამოყენებული მასალები/ნაკეთობები - არსებული კარ-ფანჯარა, ბლოკი, აგური არის ცუდ მდგომარეობაში არ არის დაგეგმილი მათი დასაწყობება ახალ მშენებლობაში გამოყენების მიზნით.

სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობის დაშლის დროს მტვრის გაფანტვისგან დამცავი ღონისძიებების გატარება: დამცავი ბადე და ხის დამცავი ღობე, დაშლის სამუშაოებზე დამკვეთის მიერ დადგენილია გეგმიური ხანგრძლივობა.

დასაშლელი ობიექტების დახასიათება

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები წარმოადგენს გასული საუკუნის ბოლო წლებში აშენებულ ობიექტებს.
უმეტეს წილად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის წვრილი ბლოკით ნაშენი მზიდი კედლების კონსტრუქცია. საძირკველი გადაწყვეტილია წერტილოვან და ლენტურ ვარიანტებში, გადახურვა მეტ წილად შესრულებულია ხის კონსტრუქციაში და მოპირკეთებულია თუნუქის ფირფიტებით.

მითითებები სამუშაოთა წარმოების თაობაზე

როგორც ავღნიშნეთ დასაშლელი სამუშაოების წარმოება უნდა დაიწყოს ექსკავაციის მეთოდით. ჯერ გადახურვის, ხოლო შემდგომ კედლების დაშლით. დემონტირებული ნაწილები დაიტვირთება თვითმცლელ ავტოტრანსპორტზე.

მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

შენობათა დაშლის პერიოდში მუშათა რაოდენობა განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისად. საჭიროა პერსონალისთვის მოეწყოს გასახდელები, საშხაპე, ტუალეტი. შენობის დაშლის პროცესში სხვა საყოფაცხოვრებო სათავსოების მოწყობის მიზანშეწონილობა დამოკიდებულია სამუშაოთა მწარმოებელზე. აგრეთვე შენობების დაშლის პერიოდში უსაფრთხოების მიზნით საჭიროა სადემონტაჟო ტერიტორიის შემოღობვა.

მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტი ანგარიშდება 1 მლნ/ლარ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით. თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება ხორციელდება მოთხოვნილების მომენტისთვის. სამშენებლო მანქანების, მექანიზმების, დანადგარების და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

1. თვითმცლელი ძარიანი და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად. რაოდენობა - 1
2. ექსკავატორ- დამტვირთველი. რაოდენობა - 1
3. პნევმატური ინსტრუმენტები (საბურღი და სხვა). რაოდენობა - 3 (საჭიროების შესაბამისად)

მითითება : აღნიშნულ ტექნიკას შესაძლებელია დაემატოს/ჩანაცვლდეს თანამედროვე ან სხვა მანქანა-მექანიზმებით და ინვენტარით.

მუშათა შორის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა დაშლის ცალკეულ ეტაპზე აუცილებელია სნწ III - 4 - 80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე :
სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტ. 12.013-88, ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები კი იზოლირებული.
სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში დაუშვებელია უცხო პირთა, ასევე დაშლის ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამანქანო ტექნიკის მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში.

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობის დაშლის პერიოდში აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების დაცვა :
გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა და განადგურება.
კედლების, ტიხრების, იატაკის ფილის დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამო შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ან სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.
იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამოყრა. სასურველია სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა პირდაპირ თვითმცვლელი მანქანების ძარებში. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები (მაგ. გისოსები) უნდა ჩამოუშვას ამწის საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში დატვირთვა ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირება. დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა. დაშლით სამუშაოებში დასაქმებული პერსონალი დაცული უნდა იყოს თავის დამცავი ჩაფხუტებით.
დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოების და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში, ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი მომსახურებაც უნდა განხორციელდეს ძრავის გამორთვის შემდეგ. ლითონის ელემენტების ჩაჭრა ელექტრო ან აიროვანი აპარატებით ქვედა იარუსზე 5 მ. რადიუსში ფართობები უნდა გავათავისუფლოთ წვადი მასალებისგან. მხოლოდ 10 მ. რადიუსში ფართობები უნდა გავათავისუფლოთ ასაფეთქებელი მასალებისგან. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა პერსონალმა (როგორც მუშამ ისე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

მიწის ნაკვეთის ფართობი -9 377 კვ.მ
სადემონტაჟო შენობა-ნაგებობათა ჯამური ფართობი - 436,4 კვ.მ
სამშენებლო მოცულობა - 2400,2 კუბ.მ
0,00 ნიშნულის ზევით - 1963,8 კუბ.მ
0,00 ნიშნულის ქვევით - 436,4 კუბ.მ
შენობა ნაგებობების (უმრავსელობის) კონსტრუქციული სიმაღლე - 5.50 მ.
0,00 ნიშნულის ზევით - 4.50 მ.
0,00 ნიშნულის ქვევით - 1 მ.



ექსპლიკაცია

1. დროებითი ფარები
2. სადარაჯო ჯიხური
3. მუშა - მოსამსახურეთა გასახდელი
4. პერსონალისთვის განკუთვნილი დროებითი საპირფარეშო (ბიოტუალეტი)
5. პერსონალისთვის განკუთვნილი დროებითი წყლის ონკანი/პირსაბანი
6. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
7. დროებითი საწყობი
8. დემონტირებული ნაწილების დროებითი განთავსების ადგილი
9. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობა

- სადემონტაჟო შენობა/ნაგებობა
- დროებითი შენობა/ნაგებობა
- მანქანა-მექანიზმებისთვის განკუთვნილი დროებითი გზა
- დროებითი სამშენებლო ღობე
- შესასვლელი ჭიშკარი
- ექსკავატორ დამტვირთველი
- თვითმცლელი ქარიანი და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტი, სამშენებლო ტვირთის გადასატანად.

ობიექტის მისამართი

ს.კ. 01.11.04.026.046

ქ. თბილისი,
თ. შეშელიძის ქუჩა №18

ფუნქციური დანიშნულება

მრავალფუნქციური კომპლექსი

შემსრულებელი ორგანიზაცია

შპს სტუდიო ალფა სახლი
ს.კ. 404664573

დირექტორი
მ.პაპუკაშვილი

არქიტექტორი
მ.პაპუკაშვილი

დემონტაჟის პროექტი

- ბლოკის კედელი
- გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურული ელემენტები 3 სთ-იანი ხანძარმედეგობით (სვეტი, კოჭი, დიაფრაგმა, იატაკისა და სახურავის ანაწყობი)
- A "ა" ტიპის ბინა
- B "ბ" ტიპის ბინა

A - 2

მასშტაბი	1 : 300
თარიღი	05/20/2025
ფურც.	150

ნაგებობა №	შენობა-ნაგებობა	კლასი
1		II
2		I
3		I
4		I
5		II
6		II
7		I
8		I
9		I

სადემონტაჟო შენობათა განშლა					
№	ფართობი	სიმაღლე	ჩაღრმავება	მალის/ფერმის სიგრძე	კლასი
01	64.5 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	7 მ-მდე	II
02	4.5 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	2 მ-მდე	I
03	3.8 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	2 მ-მდე	I
04	28.0 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	5 მ-მდე	I
05	176.7 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	7 მ-მდე	II
06	109.1 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	7 მ-მდე	II
07	8.4 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	3 მ-მდე	I
08	9.1 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	3 მ-მდე	I
09	32.3 კვ.მ	5 მ-მდე	1 მ-მდე	5 მ-მდე	I

მრავალფუნქციური კომპლექსი; ქ. თბილისი, თ. შეშელიძის №18; ს.კ. 01.11.04.026.046

დემონტაჟის ორგანიზების კალენდარული გეგმა

		დემონტაჟის 6 თვე																		
		1 თვე			2 თვე			3 თვე			4 თვე			5 თვე			6 თვე		
ეტაპის №		10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30
1	მოსამზადებელი სამუშაოები-მობილიზაცია, ჭსელების გადალაგება, ტერიტორიის შემოღობვა, დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა და ა.შ.																		
2	შენობა № 1-ის დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
3	შენობა № 2-ის და № 3-ის დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
4	შენობა № 4-ის დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
5	შენობა № 5-ის დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
6	შენობა № 6-ის დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
7	შენობა № 7-ის და № 8-ის სრული დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
8	შენობა № 9-ის დემონტაჟი მიწის ნიშნულამდე და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
9	400მმ-იანი გაუჭმებული გაზსადენის დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე																		
10	დემონტირებული მასალის და ნაგვის (მეორადის არსებობის შემთხვევაში) გატანა ობიექტიდან																		

შუნქციური დანიშნულება	ობიექტის მისამართი	შემსრულებელი ორგანიზაცია			A - 3
მრავალფუნქციური კომპლექსი	ს.კ. 01.11.04.026.046 ქ. თბილისი, თ. შეშელიძის ქუჩა №18	**შპს სტუდიო ალფა სახლი** ს.კ. 404664573	მ.პაპუკაშვილი არქიტექტორი მ.პაპუკაშვილი	დემონტაჟის ორგანიზების კალენდარული გეგმა	მასშტაბი თარიღი 05/20/2025 შურც. 152

ობიექტის დასახელება : მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სასტუმრო და კომერციული)

ობიექტის მისამართი : ქ. თბილისი, თ. შეშელიძის ქუჩა №18

ს.კ. 01.11.04.026.046

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

შემსრულებელი ორგანიზაცია

შპს სტუდიო ალფა სახლი ს.კ. 404664573

ქ. თბილისი 2025

საერთო ნაწილი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, თ. შეშელიძის ქუჩაზე ს.კ. 01.11.04.026.046. მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შპს „სტუდიო ალფა სახლის“ მიერ.
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები, მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა, ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, ნაკვეთის გეოდეზიური მონაცემები.
წინამდებარე „სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:
1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“;
2. სნდაწ 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“;
3. სნდაწ III-4-80- „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში”
4. კრებული სამახსოვრო ქართულ ენაზე მოქმედი სნ და წ ამონაკრები - საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბილისი 1987 წ;
5. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბილისი, 2006წ;
6. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის # 361-ე დადგენილება - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“.
7. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის # 477 დადგენილება - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“.
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ;
9. სნდაწ 3.03.01-87 -„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“;
10. სნ და წ 3.04.03-85 - “კოროზიისგან სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაცვა” ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

ნაკვეთი თავისი დანიშნულების მიხედვით არასასოფლო სამეურნეოა, მასზე იგეგმება მრავალფუქნციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო და კომერციული) განთავსება.
მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 9377 კვ.მეტრს. ტერიტორია ხასიათდება მარტივი რელიეფით. +427.5 და +429.5 ნიშნულები. დონეთა შორის სხვაობა შეადგენს 2 მეტრს.

შენობის ნულოვანი ნიშნული : +0,00 = +425.0. ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი, რომელზეც შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. დასავლეთით ესაზღვრება მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1, ასევე დასავლეთის მხრიდან გადის სარკინიგზო მაგისტრალი, ხოლო სამხრეთით ტერიტორიას ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე თ. შეშელიძის ქუჩის სახით.
ტეიროტირაზე დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის(საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული) განთავსება. შენობების სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:
სამი მიწისქვეშა სართული, -3. -2 და -1 სართული სიმაღლით h=2.85 მ.
ოცდაექვსი მიწისზედა სართული, 0 სართული სიმაღლით h=6.0 მ. 1 - 25 სართულები სიმაღლით h=3.3 მ, ხოლო 26-ე სართული სიმაღლით h=6.0 მ.
საპროექტო შენობა მიეკუთვნება 4 კლასს.
კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები : შენობის სიმაღლე - 95.5 მ.
შენობის ჯამური მოშენების ფართობი - 63 621.2 კვ.მ
კონსტრუქციული სქემა -ნაგებობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. შენობის მიახლოებითი გაბარიტული ზომები - 72.55 X 75.90 მ - შენობის ძირი, 40.90 X 23.60 მ - მაღლივი ბლოკები. გეგმაში რთული კონფიგურაციის ფორმის. საძირკველი მონოლითური რ.კ. ბეტონის ფილა, ზომები ღერძებში 75.40 X 70.95;
კონსტრუქციული ელემენტები (სართ. გადახურვის ფილა, სვეტი, რიგელი, ა.შ.)
სართულშუა გადახურვის ფილა - 20 სმ.
რიგელები - 50X30(h)სმ; 50X50(h)სმ; 50X40(h)სმ;
სვეტები - 50X50 სმ., 80X50 სმ.; 50X90 სმ.; 105X50 სმ.; 110X50 სმ.; 120X50 სმ.; 145X50 სმ.; 160X50 სმ.; 180X50 სმ.; 220X40 სმ.;
კიბე - მონოლითური რკ.ბეტონის;
მონოლითური რკ.ბეტონის კედლები - 30 სმ.; 20სმ; 25სმ;
სახურავი - ე.წ. ბრტყელი გადახურვა;
საძირკვლის ფუძედ მიჩნეული გრუნტის მახასიათებლები:
დასახელება - თიხა. მაიკოპის თიხის შრეებრივი თიხა, რომელიც შრეების სახით შეიცავს ქვიშაქვის თხელ ფენებს. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლები, რეკომენდირებულია ფუძის გრუნტებად. საძირკვლის ტიპი - ხიმინჯი.

საანგარიშო წინაღობა Rc=6.0 კგძ/სმ^2;
თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა - 0.85 კპა;
დასკვნა - მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანი და მის ირგვლივ არსებული ტერიტორია მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. მიწის ნაკვეთი მდგრადია და მასზე და მის მიმდებარედ სახიფათო გეოლოგიური მოვლენები გავრცელებული არ არის.

ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

1. მიწის ნაკვეთის ფართობი - 9377 კვ.მ
2. განაშენიანების ფართობი - 65 376.2კვ.მ
3. საერთო ფართობი -59 051.2 კვ.მ
4. საცხოვრებელი ფართობი - 25 906.2 კვ.მ
5. კომერციული ფართობი - 2798.3 კვ.მ
6. სასტუმრო ფართობი - 4 728.2 კვ.მ
7. საზაფხულო ფართობი - 6 869.4 კვ.მ
8. ავტოფარეხების - 5 838.9 კვ.მ
9. კიბის უჯრედის ფართობი - 5 557.2 კვ.მ
10. დამხმარეს ფართობი - 116.5 კვ.მ / სასაწყობე ფართობი - 1029.0 კვ.მ
11. სამშენებლო მოცულობა - 216 337.2კუბ.მ
12. სამშენებლო მოცულობა 0.00 ნიშნულის ზემოთ - 177 765.3 კუბ.მ
13. სამშენებლო მოცულობა 0.00 ნიშნულის ქვემოთ - 38 571.9 კუბ.მ
14. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე - 105.95მ.
15. კონსტრუქციული სიმაღლე 0.00 ნიშნულის ზემოთ - 97.4 მ.
16. კონსტრუქციული სიმაღლე 0.00 ნიშნულის ქვემოთ - 8.55 მ.
17. განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (სსზ-2) კ1 - 3412.9 კვ.მ;
18. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (სსზ-2)კ2 - 44 199.5 კვ.მ;
19. გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (სსზ-2)კ3 - 2817.6კვ.მ;

სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელ სამუშაოთა აღწერა.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოეწყოს სამშენებლო მოედანი. სამშენებლო მოედნის საზღვრები უნდა მოექცეს მიწის ნაკვეთის საზღვრებში, შესაბამისად უნდა შემოიღობოს სამშენებლო მოედანი და მასზე განთავსდეს დროებითი შენობა-ნაგებობები ისე, როგორც მითითებულია სამშენებლო მოედნის გეგმაზე, კერძოდ: უნდა მოეწყოს ელექტროენერგიის ფარი დაცულად და დამიწებით, მოეწყოს დროებითი წყლის ონკანი და პირსაბანი, ტერიტორიის ბოლოში განთავსდეს დროებითი ნაგებობა მუშათა გასახდელისათვის, სადაც უნდა განთავსდეს ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ფარი.

ტერიტორიის ბოლოში განთავსდეს მუშათა პერსონალისათვის დროებითი ტუალეტი, მონიშნული და მოსწორებული უნდა იქნას ტერიტორია არმატურის განთავსებისათვის, ასევე საყალიბე და სხვა მასალათა დასაწყობებისათვის. მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს შენობის ღერძული დაკვალვა სათანადო აქტის გაფორმებით. სამშენებლო მოედანზე უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმადი საინფორმაციო დაფა. სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება. საჭიროა დაცული იქნეს ყველა ხანძარსაწინაარმდეგო ღონისძიებები თანახმად „ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას“ ს.ნ. და წ 2.01.02-91-ის მიხედვით. სამშენებლო მოედანზე შესვლა უნდა იყოს კონტროლირებადი და დროებით ღობეზე მოეწყოს დამცავი საფარი, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით, ან გამოყენებულ იქნეს ისეთი მასალა, ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხს აგებს უსაფრთხოების წესების დაცვისათვის.

მშენებლობის რიგითობები, ეტაპები და მათი ხანგრძლივობის აღწერა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად ასაშენებელი საგამოფენო დარბაზის შენობის მშენებლობა დავყავით 2 რიგად :

1 რიგი - მშენებლობის განხორციელებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები;

2 რიგი - მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები;

თავის მხრივ თითოეული რიგი დაიყო ეტაპებად, რომლებიც წარმოდგენილი გვაქვს კალენდარულ გრაფიკში.

1 რიგის მშენებლობის განხორციელებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები :

1 ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, არსებული შენობების სადემონტაჟო სამუშაოები, მწვანე ნარგავების დაცვა/ გადარგვითი სამუშაოები) - 30 დღე; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

2 ეტაპი - გრუნტის ზედაპირის ცვლილება; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

3 ეტაპი - შენობის დაკვალვა / ძირითადი ღერძების დაფიქსირება - 30 დღე;

2 რიგის მშენებლობის განხორციელებისათვის ძირითადი რიგის სამუშაოები. :

4 ეტაპი - შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები

5 ეტაპი - შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები;

6 ეტაპი - შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

7 ეტაპი - ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე - 180 დღე;(აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

8 ეტაპი - 0 - 1 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +0,00 და +6,00 ნიშნულებზე - 60 დღე; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

9 ეტაპი 2 - 3 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +9,30 და +12,60 ნიშნულებზე - 60 დღე; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

10 ეტაპი 4 - 5 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +15,90 და +19,20 ნიშნულებზე - 60 დღე; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

11 ეტაპი 6 - 7 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +22,50 და +25,80 ნიშნულებზე - 60 დღე; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

12 ეტაპი 8 - 9 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +29,10 და +32,40 ნიშნულებზე - 60 დღე; (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია).

13 ეტაპი

12 - 13 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +42,30 და +45,60 ნიშნულებზე - 60 დღე;

14 - 15 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +48,90 და +52,20 ნიშნულებზე - 60 დღე;

16 - 17 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +55,50 და +58,80 ნიშნულებზე - 60 დღე;

18 - 19 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +62,10 და +65,40 ნიშნულებზე - 60 დღე;

20 - 21 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +68,70 და +72,00 ნიშნულებზე - 60 დღე;

22 - 23 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +75,30 და +78,60 ნიშნულებზე - 60 დღე;

24 - 26 სართულების ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა +81,90 და +88,50 ნიშნულებზე - 60 დღე;

14 ეტაპი შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა +90,20 ნიშნულზე -60 დღე.

15 ეტაპი არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა - 480 დღე.

16 ეტაპი შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა - 90 დღე.

17 ეტაპი ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი - 60 დღე.

18 ეტაპი შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები - 60 დღე.

19 ეტაპი მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები - 60 დღე.

მშენებლობა განხორციელდება 19 ეტაპად, საერთო ხანგრძლივობა 48 თვე. სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ. კოდექსით განსაზღვრული პირის მიერ უნდა შედგეს ოქმი მშენებლობის დასრულების შესახებ სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. ცალკეული ეტაპების ჩაბარების წესი, ასევე, ეტაპის ჩაუბარებლობის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებების საკითხი უნდა მოწესრიგდეს კოდექსის შესაბამისად.

ამწით სამუშაოების წარმოება
ამწე მდებაეობს: ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, ს.კ. 01.11.104.026.046. გამოიყენება კოშკურა ამწე "SIMMA POTAIN GT 185", სიმაღლე (გაკის ქვემოთ) 79 მ. ავტოდგომა 59 მ. სიმაღლე ისრის ქვემოთ 81,50 მ. ისრის სიგრძე 60 მ. მაქს ამწეობა 10 ტ. ისრის ბოლოში 1,3 ტ.
კოშკურა ამწემ იმუშაოს გენ-გეგმაზე ნაჩვენები სქემის მიხედვით: ტვირთების მიტანა შენობამდე მოხდეს დაბალ სიმაღლეზე, აწევა - შენობის ვერტიკალზე, სახურავზე გადავლებით სამუშაო ადგილზე მიტანა, დაშვება და ტვირთისაგან განთავისუფლება. მშენებლობის იმ ნაწილში, სადაც ამწის მუშაობა შეზღუდულია, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ხელით. დაცულ იქნას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები. ტვირთების ჩაბმის წინ, წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული ამწის დასაშვები ტვირთამწეობა ტვირთის დაშვების ადგილას. არასამუშაო პერიოდში ამწის კაუჭი უნდა აიწიოს მაქსიმალურ სიმაღლეზე , ხოლო ამწის მობრუნების მექანიზმი გადაყვანილ უნდა იქნას პარკინგის რეჟიმზე. მოცემული ქარის სიჩქარის გადამეტების შემთხვევაში, შეწყდეს მუშაობა. კოორდინირებული მოქმედების უზრუნველსაყოფად, აწმის მემანქანესა და ჩამბმელებს შორის უნდა დამყარდეს რადიოკავშირი.
განისაზღვროს სახიფათო ზონის საზღვრები სათანადო ნორმების მიხედვით,თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. სახანძრო უსაფრთხოება დაცულ იქნას „ᲮᲡᲑ“ 05 - 08 ნორმების შესაბამისად.
ელოექტრო უსაფრთხოება დაცულ იქნას „გოსტ“ 198 - 013 - 78 გათვალისწინებით. ყველა სამშენებლო და სამონტაჟო დამუშაო შესრულებულ იქნას ს. წ. და წ. III - 4 80*-ს „უსაფრთხიოების ტექნიკა მშენებლობაზე“ - მოთხოვნების დაცვით. ასევე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგამოების მიერ დამტკიცებილი წესებით და ინსტრუქციებით. მუშაობის დაწყების წინ მემანქანეს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი საზედამხედველო ორგანიზაციაში და გადაეცეს ნებართვა. მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, პასუხისმგებლობა განისაზღვრება „არქიტექტულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დაფარული სამუშაოებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი
ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს პროექტში წარმოდგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების, შესაბამისი სტანდარტებისა და ხარისხის დაცვით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება უნდა განხორციელდეს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და წესების შესაბამისად და მშენებლობის ორგანიზების პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე შენობის მშენებლობისათვის ობიექტზე სავალდებულოდ შესადგენი საშემსრულებო დოკუმენტაცია და სამუშაოთა აქტები: 1. დაკვალვის აქტი; 2. საძირკვლისათვის მოწყობილი ქვაბულისა და თხრილების დათვალიერების აქტი; 3. საძირკვლისათვის ფუძის მოწყობის ფარული სამუშაოების აქტი; 4. საძირკვლის არმირების ფარული სამუშაოების აქტი; 5. გეოდეზიური შემოწმების აქტები; 6. არმირების ფარული სამუშაოების აქტები; 7. ბეტონირების წინ ყალიბის შესაბამისობის დადასტურების აქტები; 8. დაბეტონების აქტები; 9. კედლების წყობის აქტები. დაკვალვის აქტზე ხელი უნდა მოაწეროს გეოდეზისტმა და სამუშაოთა მწარმოებელმა; საძირკვლისათვის ქვაბულისა და თხრილების დათვალიერების აქტზე, ასევე საძირკვლისათვის ფუძის მოწყობის ფარული სამუშაოების აქტზე ხელს აწერენ გეოდეზისტი, გეოლოგი, კონსტრუქტორი და სამუშაოთა მწარმოებელი; გეოდეზიური შემოწმების აქტებზე ხელს აწერენ გეოდეზისტი და სამუშაოთა მწარმოებელი; დანარჩენ ფარულ აქტებზე ხელი უნდა მოაწერონ კონსტრუქტორმა და სამუშაოთა მწარმოებელმა.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებათა აღწერა
სამშენებლო ნორმებზე და წესებზე ჩამოყალიბებული უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურებისათვის, რომლებიც ანხორციელებენ ნებისმიერ სამშენებლო საპროექტო საქმიანობას. ამავე დროს იგი დაცული უნდა იყოს სამუშაოთა წარმოების პროექტის შედგენისა და ნებისმიერი სამშენებლო საქმიანობის დროს. ყველა სფეროში, მათ შორის სამშნებლო სფეროში უსაფრთხოების საკითხებს ზედამხედველობას უწევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინსპექცია. სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპოტო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დავიცვათ ქარხანა დამამზადებლისა და მიმწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლოატაციის და გამოყენების მოთხოვნები. შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს აგრეთვე სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციები. ამასთნ ერთად, აუცილებელია შრომის დაცვის პრობლემების ინტეგრირება ხარისხის მართვის სისტემაში. მშენებლობაში საშიში სიტუაციის გამოსავლენად უნდა დამყარდეს კოოპერაციული კავშირი მშენებარე ორგანიზაციისა და სამედიცინო ორგანიზაციას შორის. უნდა წარმოებდეს სამუშაო ადგილების სისტემატური შესწავლა მშენებლობაზე უსაფრთხოების თვალზასრისით საშიში წყაროების გამოსავლენად. სამუშაოზე დანიშვნის წინ და სამუშაოს შესრულების პერიოდში სამედიცინო გამოკვლევები უნდა ჩატარდეს კანონის და მთავრობის სადირექტივო მოთხოვნების შესაბამისად. თუ მშენებლობაზე გამოიყენება საზღვარგარეთის მუშები, მათი სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩატარდეს საზღვარგარეთ. ხმარების წინ ინსტრუმენტი უნდა იყოს დათვალიერებული.

ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვა). ელექტრო ინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს. აკრძალულია სამშენებლო ინსტრუმენტების გამოყენება არადანიშნულების მიხედვით. ქიმიურ, ფხვიერ მასალასთან მუშაობისას წარმოქმნილი მტვრის და სხვა მავნე ზემოქმედების კონტროლი უნდა განხორციელდეს სათანადო ხელსაწყოების გამოყენებით. მანქანების, ინსტრუმენტების, ინვენტარის, ტექნიკური აღჭურვილობის, მოწყობილობის, კოლექტიური და ინდივიდუალური საშუალებების ექსპლოატაციის უსაფრთხოების მოთხოვნის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება: მანქანების და დამცავი საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს სამუშაოებს. სამუშაოთა წარმოების შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებზე ორგანიაციას, რომელიც აწარმოებს სამუშაოებს. დამოუკიდებელ მაღლივ(5 მეტრი და მეტი) ზემცოცავ სამუშაოებზე დაიშვებიან 18 წელს გადაცილებული პირები, რომელთაც გავლილი აქვთ სამედიცინო შემოწმება და ცნობილი არიან საკვალიფიკაციო თანრიგით. მუშები, რომლებიც პირველად დაიშვებიან ზემცოცავ სამუშაოებზე, ერთი წლის განმავლობაში უნდა მუშაობდნენ გამოცდილი მუშის მეთვალყურეობის ქვეშ. მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს უნდა ჰქონდეს სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. სამშენებლო ობიექტზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია ეხუროს დამცავი ჩაფხუტი. ჩაფხუტისა და სხვა დამცავი საშუალებების გარეშე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოზე არ დაიშვებიან. სამშენებლო ობიექტზე მომუშავე მუშები და ინჟინერტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით. მშენებლობის ყველა ობიექტზე გმოყოფილი უნდა იყოს ადგილი ან სათავსო სამედიცინო აფთიაქის და სხვა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენი საშუალებების განსათავსებლად. სამშენებლო მეოდანზე მომუშავე ყველა პიროვნება უზრუნველეყოფილი უნდა იყოს სასმელი წყლით. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა მუშაკმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები. უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო მოედანზე აკრძალულია. ამინდის უეცარი ცვლილებების დროს (ქარბუქი, ქარიშხალი, დიდთოვლიანობა და სხვა) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება. სახაზო-საინჟინრო ტექნიკურმა პერსონალმა სადირექტივო ორგანოების მიერ დაწესებული ვადების მიხედვით უნდა გაიაროს უსაფრთხოების ტექნიკის წესების და საწარმოო სანიტარიის ცოდნის შემოწმება, შესასრულებელი სამუშოთა სახის გათვალისწინებით. ცოდნის შემოწმება უნდა გაფორმდეს სათანადო წესით. უსაფრთხოების ტექნიკასა და საწარმოო სანიტარიის ცოდნის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას მათ ეკრძალებათ სამუშაო წარმოების ხელმძღვანელობა განმეორებით შემოწმებამდე. გამნეორებით შეფასება უნდა ჩაუტარდეს მუშაკებს არსებული წესის მიხედვით ყოველწლიურად, მუშას უნდა ჩაუტარდეს მშენებლობის უსაფრთხო მეთოდებით წარმოების ცოდნის შემოწმება. ცოდნის შემოწმება უნდა ჩაატაროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნულმა კომისიამ . სამუშაოები, რომლებიც უნდა შესრელდეს კვალიფიციური მუშა ხელის გამოყენებით, საჭიროებს გამკაცრებულ ზედამხედველობას. მშენებელი მუშები ზოგ შემთხვევაში განიცდიან სხვადასხვა სახის მავნე ზემოქმედებას.

ამ ზემოქმედების პირობები არაერთგვაროვანია, იგი დამოკიდებულია კონკრეტულ პროფესიაზე, სამუშაო დროის ხანგრძლივობასა და სხვა სპეციფიკურ პირობებზე. ისეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება, რომლის მიმართაც წაყენებულია შრომის უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები, დაიშვებიან 18 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც აქვთ პროფესიული გამოცდილება, გაიარეს სწავლება აღნიშნული სამუშაოების ჩატარებაზე და აქვთ სათანაო სერთიფიკატი ან კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი. უნდა დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი (ან პირები) საინჟინრო-ტექნიკური პერსონალიდან ზედამხედველობისათვის. სამუშაოზე დაშვებამდე მას (მათ) უნდა ჩაუტარდეს სწავლებასაუბრები უსაფრთხოების ტექნიკასა და საწარმოო-საინჟინრო სანიტარიის წესების დაცვის საკითხებზე. მუშებმა და სახაზო საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა, რომლებიც დაკავებულნი არინ მავნე და საშიშ სამუშაოებზე, უნდა გაიარონ სათანადო სამედიცინო შემოწმება. ქარის დასაშვებ სიჩქარეს და სხვა კლიმატურ პირობებს, რომლის დროსაც უნდა შეწყდეს სამუშაოთა წარმოება, განსაზღვრავს ადგილობრივი სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლება. მავნე და მძიმე სამუშაოებში შეზღუდული უნდა იყოს ქალთა შრომის გამოყენება. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობის წარმოებისას საჭიროა დაცული იყოს საწარმოო ოპერაციების თანმიმდევრობა ისე რომ, ჩატარებული ოპერაცია არ ქმნიდეს საწარმოო საშიშროების წარმოქმნას შემდგომი ოპერაციის შესრულებისას. პოლიმერული მასალებისა და ნაკეთობების გამოყენებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მათი პასპორტით, ტარაზე არსებული ნიშნებითა და წარწერებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს მთვრობის N477 დადგენილებით სიმაღლეზე მუშაობის მოთხოვნებს.

მრავალფუნქციური კომპლექსის; ქ. ობილისის, ო. ჭავჭავაძის №18; ს.კ. 01.11.04.026.046

ობილისის ორგანიზაციის კალენდარული გეგმა

ეტაპის №:	ვიზუალ. №:		მშენებლობის 1 წელი												მშენებლობის 2 წელი												მშენებლობის 3 წელი												მშენებლობის 4 წელი											
			1 თვე		2 თვე		3 თვე		4 თვე		5 თვე		6 თვე		7 თვე		8 თვე		9 თვე		10 თვე		11 თვე		12 თვე		13 თვე		14 თვე		15 თვე		16 თვე		17 თვე		18 თვე		19 თვე		20 თვე		21 თვე		22 თვე		23 თვე		24 თვე		25 თვე		26 თვე		27 თვე		28 თვე		29 თვე		30 თვე		31 თვე		32 თვე		33 თვე		34 თვე		35 თვე		36 თვე		37 თვე		38 თვე		39 თვე		40 თვე		41 თვე		42 თვე		43 თვე		44 თვე		45 თვე		46 თვე		47 თვე		48 თვე	
			10	20	30	10	20	30	10	20	30


R 45.00
R 45.00
Ø10
Ø10
Ø10

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01232071401**
თარიღი: **26/07/2023**

ადრესატი: შპს ალფა სახლი გლდან[illegible]ი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400347246
მისამართი: შეშელიძის N18

თქვენი 24.07.2023წ. N10/01232052862-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად შპს ,,ალფა სახლი გლდანი"-ს მიერ მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ჭუჩა შეშელიძე, N18-ში (საკადასტრო კოდი:01.11.04.026.046) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29.06.2022წ. N6010142 ბრძანებით განსაზღვრული I ეტაპის და 30.12.2022წ. N6270753 ბრძანებით განსაზღვრული I-II ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექციას საქმისწარმოება, საქართველოს კანონის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, არ დაუწყია.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

მუნიციპალური სერვისების მართვის სააგენტო
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
017 405026877

გამოყენებულია კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01250243198**
თარიღი: **24/01/2025**

ადრესატი: შპს ალფა სახლი გლდანში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400347246
მისამართი: თბილისი, შეშელიძის N18

თქვენი 26.12.2024წ. N10/01243613217-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქუჩა შეშელიძე , N18 (საკადასტრო კოდი:01.11.04.026.046) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.12.2023წ. N6802156 ბრძანებით განსაზღვრული III-XII ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)





გაფორმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი